ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 65/2016 / 140

თბილისი 24 ნოემბერი 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამილა ბარკალაიას სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქეთევან ლაკირბაიას სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა პროექტის ,,საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება" (შემდგომში პროექტი) განხორციელების მიზნით სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა" და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (№969) შესაბამისად ფონდისათვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის, 1–ლი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე კვების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV55300000) და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 228.81 (ორას ოცდარვა მთელი ოთხმოცდაერთი მეასედი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი დღგ–ს გარდა.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის მომსახურების დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 25 ნოემბერს, 14.30 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N32.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. მომსახურების მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია) და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი

ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მეორე მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს მოთხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების (გადასახდელი თანხის) 0.01% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10% ოდენობით.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვნად შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ შტატგარეშე თანამშრომელი, პროექტის აქტივობის დირექტორი ნინო დავითაშვილი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მეგი ქიმერიძე.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაღვრული პირების ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის და შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;
15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, ინსპექტირების დასკვნის და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს; ერთი
17.2. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი -,,შემსყიდველთან'.'

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	**სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“**
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა	ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3-5
სახელმწიფო ხაზინა	სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22	კოდი № TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022	მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 708997297
ს/კ № 205169592	ს/კ № 204861970
თამილა ბარბაკაძე დირექტორი	ქეთევან ლაკირბაია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამში ფასი (ლარი)
1	ხსნადი ყავა	50	1.50	75
2	ჩაი	50	1	50
3	რძე ყავისთვის	50	0.25	12.5
4	ლიმონი	50	0.15	7.5
5	პეროგი ჯემით	50	1	50
6	ჭურჭელი ერთჯერადი	50	0.5	25
7	პერსონალის მომსახურება	2	25	50

სულ: 270 ლარი
ღირებულება დღგ-ს გარეშე 228.81 ლარი

,,შემსყიდველი“

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”

თამილა ბარკალაია
დირექტორი

„მიმწოდებელი“

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ქეთევან ლაკირბაია
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი